ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2025 წლის 27 აგვისტოს სხდომა

ოქმი # 7

სხდომას ესწრებოდა სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან 20 წევრი

დღის წესრიგი:

1. სამაგისტრო პროგრამა "ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება" (ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია) ანკეტა კითხვარის დამტკიცება
   მომხს. ს. დუნდუა, ფაკულტეტის დეკანი
2. ასისტენტ პროფესორ სანდრო ტაბატაძის სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების შესახებ.
   მომხს. ს. დუნდუა, ფაკულტეტის დეკანი
3. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, სალომე კანდელაკის სადიერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტება
   მომხს. ს. დუნდუა, ფაკულტეტის დეკანი
4. საბაკალავრო პროგრამ(ებ)ის „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია რუსული კომპონენტებით“ და „ჟურნალისტიკა რუსულ ენაზე“ კურიკულუმის საგანზე: ინფორმაციის წარმოება და საინფორმაციო სერვისი“ წამკითხველი ლექტორის დამატება
   მომხს. ს. დუნდუა, ფაკულტეტის დეკანი

მოისმინეს: 1. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სამაგისტრო პროგრამამ "ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება" (ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია) 18 აგვისტოს გაიარა აკრედიტაციის პროცესი და, შესაბამისად, მას უკვე შეუძლია სტუდენტების მიღება. იმისათვის, რომ პროგრამამ შეძლოს სტუდენტების მიღება, საჭიროა ანკეტა-კითხვარის ფაკულტეტის საბჭოზე, ხოლო შემდგომში კი აკადემიურ საბჭოზე დამტკიცება. ს. დუნდუამ შესთავაზა საბჭოს წევრებს სამაგისტრო პროგრამის "ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება" ანკეტა-კითხვარის დამტკიცება და მისაღები სტუდენტების რაოდენობად 20 სტუდენტის

განსაზღვრა. აქვე. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ მოცემულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ცხადდება ორ წელიწადში ერთხელ).

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორებმა მ. წერეთელმა, თ. მატარაძემ, პროფესორმა რ. ჯორბენაძემ და სხვ;

დაადგინეს: დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამა "ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება" ანკეტა კითხვარი და მისაღებ რაოდენობად განისაზღვროს 20 ადგილი.

მოისმინეს: 2. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტის საბჭოს სახელზე შემოსულია ასისტენტ პროფესორ სანდრო ტაბატაძის განცხადება, სადაც იგი ითხოვს სამეცნიერო შემოქმედებით შვებულებას 2025 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2026 წლის 30 ივნისის (10 თვე) ჩათვლით. ის იღებს ვალდებულებას, ამ პერიოდის განმავლობაში, დაწეროს ერთი სახელმძღვანელო პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის არჩევითი სალექციო კურსისთვის „ულტრამემარჯვენეობა და ევროსკეპტიციზმის პოლიტიკა“ და ასევე, მოამზადოს მონოგრფია საქართველოს ზოგადი განათლების პოლიტიკაში პოლიტიკის ტრანსფერისა და ცვლილების საკითხის შესახებ. ს. დუნდუამ კოლეგებს შეახსენა, რომ თსუ წესდების მუხლი 30, 'დ' ქვეპუნქტის მიხედვით " აკადემიურ პერსონალს, კომპეტენციის შესაბამისად, უფლება აქვს: დ) პროფესიული განვითარების მიზნით, 5 წელიწადში ერთხელ, აკადემიური თანამდებობის დაკავებიდან 1 აკადემიური წლის შემდეგ, აიღოს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება არა უმეტეს 10 თვის ვადით. იმ პერსონალის მიმართ, რომელიც აკადემიურ თანამდებობას დაიკავებს ზედიზედ მეორე ან მომდევნო ვადით, ამ პუნქტით გათვალისწინებული ერთწლიანი შეზღუდვა არ ვრცელდება" მოცემულ მოთხოვნებს ს. ტაბატაძე აკმაყოფილებს - ის ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე არჩეულ იქნა 2023 წელს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ალ/კუხიანიძემ, ასოცირებულმა პროფესორმა ზ. აბაშიძემ და სხვ.;

დაადგინეს: ასისტენტ პროფესორ სანდრო ტაბატაძეს მიეცეს სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულება 10 თვის ვადით 2025 წლის 1 სექტემბრიდან 2026 წლის 10 ივნისის ჩათვლით. სანდრო ტაბატაძის ვალდებულებად განისაზღვროს აღნიშნულ პერიოდში პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის არჩევითი სალექციო კურსისთვის „ულტრამემარჯვენეობა და ევროსკეპტიციზმის პოლიტიკა“ სახელმძღვანელოს მომზადება; ასევე - საქართველოს ზოგადი განათლების პოლიტიკაში პოლიტიკის ტრანსფერისა და

ცვლილების საკითხის შესახებ მონოგრფიის მომზადება. აღნიშნული გადაწყვეტილება გადაეცეს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურას.

მოისმინეს: 3. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შემოსულია პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, სალომე კანდელაკის განცხადება, სადაც იგი ითხოვს, დაზუსტდეს მისი სადისერტაციო თეზისის სათაური. იქიდან გამომდინარე, რომ დოქტორანტს ივლისში ჰქონდა წინასწარი დაცვა და სექტემბრის დასწაყისში ის აპირებს დასრულებული დისერტაციის ატვირთვას, მოცემული საკითხიც სასწრაფოა. წინასწარი დაცვის დროს, კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და რჩევის საფუძველზე, დოქტორანტი ითხოვს მისი სადისერტაციო ნაშრომის სათაური: 'მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის გავლენა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებზე" შეიცვალოს შემდეგი სახით: "მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლი საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებში."

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა თ. ქარაიამ, ზ. აბაშიძემ

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, სალომე კანდელაკის სადისერტაციო თეზისის სათაური: 'მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის გავლენა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებზე" შეიცვალოს შემდეგი სახით: "მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლი საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებში."

მოისმინეს: 4. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბაკალავრო პროგრამ(ებ)ის „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია რუსული კომპონენტებით“ და „ჟურნალისტიკა რუსულ ენაზე“ ხელმძღვანელი, ხათუნა მაისაშვილი მოგვმართავს თხოვნით, რომ ობიექტური ფორსმაჟორული ვითარებიდან გამომდინარე (ძირითადი მოწვეული ლექტორის მიერ კურსის წაყვანის შესაძლებლობის არქონა), დავრთოთ ნება, სასწავლო კურსს „საინფორმაციო სააგენტოები: ინფორმაციის წარმოება და საინფორმაციო სერვისი“ დაემატოს წამკითხველი ლექტორი: ვენერა რურუა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ, გოგსაძემ

დაადგინეს: საბაკალავრო პროგრამ(ებ)ის „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია რუსული კომპონენტებით“ და „ჟურნალისტიკა რუსულ ენაზე“ კურიკულუმის სასწავლო კურსს „საინფორმაციო სააგენტოები: ინფორმაციის წარმოება და საინფორმაციო სერვისი“ დაემატოს წამკითხველი ლექტორი: ვენერა რურუა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

სალომე დუნდუა

27 აგვისტო
2025

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ლაშა მათიაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

თინათინ მაჭარაშვილი

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

ესაძე ნიკოლოზ

მიხაელი ნატალი

ზურდული სოფიო

გოგიაშვილი მიხეილ

ჯაფარიძე ნინო

ტაბატაძე ალექსანდრე

ორჯონიკიძე ნინი

ტაბიძე ლუკა

გაბაშვილი ალექსანდრე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა:	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება:	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საფოსტო მისამართი და ტელეფონი, ფაქსი	თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 1, 0179, ტელ: +995 32 222 02 41, ფაქსი: +995 32 222 51 07
ელფოსტა	chancellery@tsu.ge
ხელმძღვანელი პირების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	რექტორი: ჯაბა სამუშია, ელ-ფოსტა: rector@tsu.ge
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	შოთა ფოთოლაშვილი, ტელ: 599 49 54 53, ელ-ფოსტა: shota.potolashvili@tsu.ge
სპეციალური პირობები მაგისტრანტობის კანდიდატთათვის	თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დეტალური წინაპირობები იხ.: www.tsu.ge

								სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპი			**სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის განსაზღვრული კოეფიციენტები**					**უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება**			**იდენტური კოეფიციენტების შემთხვევაში უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის პრიორიტეტი**	**თითოეულ პროგრამაზე ადგილების რაოდენობა**	**მიმართულებათაშორისი დარგების შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე ერთზე მეტი ტესტის ტიპის არჩევის შემთხვევაში, უსდ-ს მიერ კოეფიციენტების სამაგისტრო გამოცდისათვის მინიჭებისას პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა თითოეული ტესტის ტიპის მიხედვით**		
სამაგისტრო პროგრამის დასახელება, რომელზედაც შესაბამის წელს მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება	**სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება/მიმართულებები**	**მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება**	**აკრედიტებულია თუ არა**	**დაფინანსება**	**სწავლების ენა**	**წლიური გადასახადი**	**სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობა**	**A ტიპის ტესტი**	**B ტიპის ტესტი**	**C ტიპის ტესტი**	**სულ**	**წერითობლის გაზრდა**	**ანალიტიკური წერა**	**ლოგიკური მსჯელობა**	**რაოდენობრივი მსჯელობა**	**სულ**	**გამოცდა/გასაუბრება სპეციალობასა და უცხო ენაში**	**გამოცდა უცხო ენაში**			**A ტიპის ტესტი**	**B ტიპის ტესტი**	**C ტიპის ტესტი**
								1	**2**	**3**											**1**	**2**	**3**
ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**20**									100	გამოცდა სპეციალობაში 40 (მინიმალური ზღვარი 51%), გასაუბრება სპეციალობაში 20. გამოცდა ინგლისურ ენაში B2-40.	ინგლისური ენა B2, 40	გამოცდა სპეციალობაში					

ანკეტის შევსების თარიღი

რექტორი **ბ.ა.**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარეს, დეკანს,

ქ-ნ სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის

სანდრო ტაბატაძის

განცხადება

ქ-ნ სალომე, მოგმართავთ თხოვნით, რომ 2025 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2026 წლის 30 ივნისის (10 თვე) ჩათვლით, განიხილოთ ჩემთვის კუთვნილი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების მოცემის საკითხი. ამ პერიოდის განმავლობაში, დავწერ ერთ სახელმძღვანელოს კურსისთვის „ულტრამემარჯვენეობა და ევროსკეპტიციზმის პოლიტიკა“ და ასევე შევასრულებ მონოგრფიას, რომელიც შეეხება პოლიტიკის ტრანსფერისა და ცვლილების საკითხს საქართველოს ზოგადი განათლების პოლიტიკაში.

პატივისცემით,

სანდრო ტაბატაძე



20.08.2025

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,

ქალბატონ სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის
„პოლიტიკის მეცნიერების"
სტუდენტის, სალომე კანდელაკის
პირადი ნომერო: 01019061968
მობ: +995 599 34 14 24

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 2020 წლიდან ვირიცხები პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე, ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლავთ პროფესორიკორნელი კაკაჩია.

გთხოვთ უფლება მომცეთ ჩემი სადისერტაციო თემის უკვე დამტკიცებულ სათაურში: “მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის გავლენა საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებზე” შევიტანო მცირე კორექტირება და დავაზუსტო შემდეგნაირად: „მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლი საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში.“

პატივისცემით,
სალომე კანდელაკი

26.08.2025

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

ქალბატონ სალომე დუნდუას

მალხაზ მაცაბერიძის

პოლიტიკურ მეცნიერებაში სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის

თანხმობის წერილი

თანახმა ვარ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტ სალომე კანდელაკის უკვე დამტკიცებულ სადისერტაციო სათაურში: "მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის გავლენა საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებზე" მცირე კორექტირების სახით მოხდეს დაზუსტება შემდეგნაირად: „მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლი საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში."

პატივისცემით

მალხაზ მაცაბერიძე

26.08.2025

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,

ქალბატონ სალომე დუნდუას

თანხმობის წერილი

თანახმა ვარ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სალომე კანდელაკის სადისერტაციო თემის დამტკიცებულ სათაურში: "მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის გავლენა საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებზე" მცირე კორექტირების სახით მოხდეს დაზუსტება შემდეგნაირად: „მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლი საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში."

პატივისცემით,

კორნელი კაკაჩია, პროფესორი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

26.08.2025

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,

ქ-ნ სალომე დუნდუას,

ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს,

ქ-ნ თამარ დოლბაიას

საბაკალავრო პროგრამ(ებ)ის „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია რუსული კომპონენტებით“ და „ჟურნალისტიკა რუსულ ენაზე“ ხელმძღვანელის ხათუნა მაისაშვილის

ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი ბ ა რ ა თ ი

ობიექტური ფორსმაჟორული ვითარებიდან გამომდინარე (ძირითადი მოწვეული ლექტორის მიერ კურსის წაყვანის შესაძლებლობის არქონა), გთხოვთ, დაგვრთოთ ნება, სასწავლო კურსს „საინფორმაციო სააგენტოები: ინფორმაციის წარმოება და საინფორმაციო სერვისი“ დაემატოს წამკითხველი ლექტორი: ვენერა რურუა, რომლის პროფესიულ რეზიუმესაც გაახლებთ მიმაგრებული ფაილის სახით. ეს ცვლილება აუცილებელია გონივრული ბალანსის დასაცავად სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი

27.08.25